



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

03 ივლისი 2025



N 349/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ ნარჩენების აღდგენის (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიამ“ (ს/კ: 406276756) სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) წარმოადგინა (წერილი N2277) გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, ნარჩენების აღდგენის (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზმ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N136/ს) შექმნა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/5370) შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ მიერ 2025 წლის 11 ივნისს წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებით დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N5813). კერძოდ, დაზუსტდა ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი წილისა და ფილტრის ნალექების მართვის ღონისძიებების, დასამუშავებელი ნარჩენების კოდებისა და დასახელებების, ნარჩენების სეპარირების (გადარჩევის) შემდგომ მიღებული ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილ იქნა საწარმოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე არსებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N311/ს - 16/06/2025), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე, განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

2024 წლის 21 ოქტომბერს, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, ნარჩენების აღდგენის (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის

ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N699/ს; 16/12/2024, სკოპინგის დასკვნა N65).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნარჩენების აღდგენის საწარმო (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოება), დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს ქ. თბილისში, რევაზ მამისაშვილის ქ. N83ა-ში - „ქ. თბილისში შპს „ჯითიეი ჯგუფის“ ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების (ნარჩენების აღდგენა) საამქროს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბრის N2-1117 ბრძანების საფუძველზე. საწარმოს ექსპლუატაციას უწევს შპს „ჯითიეი ჯგუფი“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯია.“ ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია არსებული საწარმოს დანადგარების სხვა ტერიტორიაზე გადატანა, სადაც არსებულ დანადგარებთან ერთად განთავსდება ახალი სადნობი ღუმელი, ხოლო საწარმოს ოპერირებას გაუწევს შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯია.“ ანგარიშის თანახმად, წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შემდეგ, ქ. თბილისში, რევაზ მამისაშვილის ქუჩა N83ა-ში მდებარე საწარმო შეწყვეტს ექსპლუატაციას.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ, 2025 წლის 16 მაისს განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ კუთვნილი ტერიტორიის ინსპექტირება. ადგილზე განხორციელებული ინსპექტირებით დადგინდა, რომ ტერიტორია შემოღობილია რკინა-ბეტონის საძირკველის მქონე მავთულზადის ღობით, ასევე, საწარმოო შენობისთვის მოწყობილია რკინა-ბეტონის საძირკველი და საწარმოო შენობის კარკასი. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №093082 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაგეზავნა რაიონულ სასამართლოს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენების აღდგენის (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების) საწარმოს და ასევე 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ, 5 772 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.10.39.746). საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 15 მეტრში მდებარეობს შპს „პარტნიორის“ (ს/კ: 81.10.39.245) საკუთრებაში არსებული წებო-ცემენტის საწარმო, 300 მეტრში შპს „ჩირინას“ (ს/კ: 81.10.27.618 და 81.10.27.964) კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია, ხოლო საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 400 მეტრში მდებარეობს შპს „გასგო მოტორსის“ (ს/კ: 81.10.39.738) ავტონაწილების სადისტრიბუციო კომპანია და 480 მეტრში სს „ნიკორას“ (ს/კ: 81.10.39.674) ნარჩენების ინსინირების საწარმო. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით 450 მეტრში მდებარეობს მდ. ლოჭინი, სამხრეთ-დასავლეთით 520 მეტრში ქვემო სამგორის არხი. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 560 მეტრით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საწარმოს განთავსების, ტექნოლოგიური და უმოქმედობის ალტერნატიული ვარიანტები.

ანგარიშის მიხედვით, საწარმოს განთავსების ალტერნატივებად განიხილებოდა: პირველი - ქ. თბილისში არსებული საწარმოს (რევაზ მამისაშვილის ქუჩა, N83ა) გაფართოება, რომელიც განთავსებულია ისანი-სამგორის რაიონში (საკადასტრო კოდი: 01.19.21.001.173), მეორე - საწარმოს გადატანა გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ. გაჩიანში (საკადასტრო კოდი: 81.06.24.631) და მესამე - საწარმოს გადატანა გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ. გამარჯვებაში (საკადასტრო კოდი: 81.10.39.746). საწარმოს ტერიტორიის შერჩევა მოხდა მოსახლეობიდან დაშორების მანძილის, მისასვლელი გზებისა და საჭირო კომუნიკაციების არსებობის გათვალისწინებით. ანგარიშის თანახმად, შავი და ფერადი ლითონების წარმოებაში გამოიყენება რამდენიმე განსხვავებული მეთოდი, მათ შორის ელექტროენერგიაზე მომუშავე ელექტრორკალური ან ლითონთერმული მეთოდი, ამასთან ალუმინის ჯართის გადამუშავების და სხმულების წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში გამოიყენება, როგორც თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე სადნობი ღუმელები, ასევე ინდუქციური ღუმელები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ახალ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდება მოქმედ საწარმოში (საკადასტრო კოდი: 01.19.21.001.173) არსებული სადნობი და შუალედური ღუმელების გადატანა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ აირზე მომუშავე დანადგარებს, შესაბამისად ელექტროენერგიაზე მომუშავე ელექტრორკალური ან ინდუქციური ღუმელების გამოყენების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მომხდარა. ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს ალუმინის ჯართისაგან, დნობის საშუალებით სხვადასხვა სახის და ფორმის ალუმინის სხმულების მიღება. საწარმო იმუშავებს 340 დღე, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით (წელიწადში 8160 სთ). საწარმოში დღე-ღამის, 24 საათის (8 ტექნოლოგიური ციკლი) განმავლობაში, გათვალისწინებულია 24 ტ (წლის განმავლობაში 8 160 ტ) ჯართის გადამუშავება, რის შედეგადაც მიიღება დღე-ღამეში 20.8 ტ (წლის განმავლობაში 7 072 ტ) ალუმინის სხმული და 0.8 ტონა (წლის განმავლობაში 272 ტ) შუალედური წიდა. პროდუქციის - ალუმინის სხმულის საათური წარმადობაა 0.866 ტ/სთ.

შუალედური წიდის ხელმეორედ გადადნობა მოხდება შუალედურ ღუმელში, რის შედეგად წლის განმავლობაში მიიღება 136 ტ ალუმინის სხმული და 136 ტ მეორადი გადადნობის შედეგად მიღებული წიდა. დაგეგმილი საქმიანობა განისაზღვრება R4 აღდგენის კოდით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოწყობის სამუშაოები შესრულდება 260 დღის განმავლობაში. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული იქნება 15 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 50 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ალუმინის საწარმოსათვის გათვალისწინებულია 1 798 მ² ფართობის მქონე საწარმოო შენობის მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება საწარმოო ინფრასტრუქტურა, საოფისე და მუშათა საყოფაცხოვრებო სათავსები და კვების ბლოკი. როგორც აღინიშნა, საწარმოს ტერიტორია შემოღობილია რკინა-ბეტონის საძირკველის მქონე მავთულბადის ღობით, ასევე, საწარმოო შენობისთვის მოწყობილია რკინა-ბეტონის საძირკველი და საწარმოო შენობის კარკასი, ასევე, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების ჰერმეტიკული სეპტიკური რეზერვუარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ტერიტორიაზე ასევე, მოეწყობა შემდეგი დამხმარე ინფრასტრუქტურა: სახანძრო წყლის რეზერვუარი, სალექარი, საგენერატორო, ავტოსადგომი, სატვირთო მანქანის სასწორი, ლაბორატორია, ოფისი, საკონფერენციო ოთახი. ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული იქნება შემდეგი დანადგარები: 1 მბრუნავი ღუმელი (მოცულობა 3 ტ), 2 ერთეული შუალედური ღუმელი (N1 შუალედური ღუმელის მოცულობაა 4 ტ, N2 (ახალი) შუალედური ღუმელის მოცულობაა 7 ტ), 2 ერთეული საპრესი დანადგარი, 2 ერთეული კონვეირი და აირმტვერგამწმენდი სისტემა. საწარმოში შუალედური ღუმელების ფუნქციონირებისთვის გამოიყენება ბუნებრივი აირი. N1 შუალედური ღუმელის ბუნებრივი აირის ხარჯი 1 საათის განმავლობაში შეადგენს 120 მ³/სთ-ში, N2 შუალედური ღუმელის ხარჯი იქნება 140 მ³/სთ-ში, ხოლო მბრუნავი ღუმელის - 120 მ³/სთ. საწარმოს წარმადობის გათვალისწინებით შუალედური ღუმელები იმუშავებენ მონაცვლეობით საჭიროების მიხედვით. ანგარიშის თანახმად, ტექნოლოგიური დანადგარები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში მობეტონებულ იატაკზე.

საწარმოში გადასამუშავებელ ნედლეულად გამოიყენება შემდეგი სახის ალუმინის (ნარჩენის კოდი: 17 04 02) ჯართი: დურ-ალუმინი, პროფილი, ნორმალი, სუპერი. საწარმო აღნიშნული ნედლეულის გადამამუშავების შედეგად აწარმოებს შემდეგი სახის პროდუქციას: ალუმინის სხმული მარკა EN-AC 46000 / EN-AC 46200, ალუმინის სხმული მარკა EN-AC 47100, ალუმინის სხმული მარკა AK5M2.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ალუმინის ჯართის შემოტანა განხორციელდება ფერადი ლითონების ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან, მაღალი ტვირთამწეობის (15-20 ტ) ავტომანქანებით. ალუმინის სხმულების წარმოება წარმართება შემდეგი ტექნოლოგიით: საწარმოში შემოტანილი ჯართი განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ ბაქანზე. დასაწყობების შემდეგ მოხდება ჯართის გადარჩევა და ზედმეტი მინარევების ამოღება. გადარჩევის შემდეგ ხდება წვრილი ფრაქციის ალუმინის ჯართის დაპრესვა საპრეს დანადგარში, საიდანაც, დაპრესილი ალუმინის ჯართი და ჯართის მსხვილი ფრაქცია ერთად მიეწოდება მბრუნავ ღუმელს. მბრუნავ ღუმელში დნობის პროცესი მიმდინარეობს 600-700 C⁰ ტემპერატურაზე. მბრუნავ ღუმელში, ერთი ციკლის (დნობის) დროს, ჯართის ჩატვირთვა ხდება ეტაპობრივად, გარკვეული ულუფებით, ვიდრე ჩატვირთული ალუმინის ჯართის რაოდენობა არ მიაღწევს 3000 კგ-ს (3 ტონას). ყოველი ულუფის ჩამატების ეტაპზე, ასევე წარმოებს წიდის მოხსნა, რომელიც ასევე ეტაპობრივად ხორციელდება. მბრუნავი ღუმელიდან დნობის შემდეგ (ყოველი ციკლის შემდეგ) ალუმინის ნადნობის გადასხმა მოხდება შუალედურ ღუმელში, სადაც მოხდება ალუმინის ნადნობის შეყოვნება და შემდეგ მათი ჩამოსხმა ყალიბის ფორმებში ავტომატური ხაზის საშუალებით. ალუმინის ნადნობის შესაბამის ფორმებში ჩამოსხმის შემდგომ, გაციებული პროდუქცია (ალუმინის სხმულები) საწყობდება პროდუქციის საწყობში შემდგომი რეალიზაციისათვის.

ალუმინის ჯართის დნობის შედეგად მიღებული შუალედური წიდა ექვემდებარება ხელმეორედ გადადნობას, რომლის გადადნობა წარმოებს შუალედურ ღუმელში. შუალედური წიდის გადადნობის შედეგად წიდიდან მიიღება 50% ალუმინის სხმული და 50% მეორადი გადადნობის წიდა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მტვრის გავრცელების შემცირების მიზნით, დაგეგმილია Pulse Jet Filter, Model FS and FT მოდელის მტვერდამჭერი დანადგარის მოწყობა. დანადგარი აღჭურვილი იქნება ნაჭრის ფილტრებით რომელიც უზრუნველყოფს აირმტვერნარევის მტვრისგან გაწმენდას, მისი ეფექტურობა 99%-ია. დანადგარი ასევე, აღჭურვილი იქნება 15 მ სიმაღლის გაფრქვევის მილით. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მბრუნავი და შუალედური ღუმელები აირმტვერგამწმენდ დანადგართან დაკავშირებულია ასპირაციული სისტემით, საიდანაც ნამუშევარი აირები აირსატარი კოლექტორებით მიეწოდება გამაგრილებელ ბლოკს და შემდეგ მტვერდამჭერ ფილტრებს. გამაგრილებელ ბლოკში ნამუშევარი აირის ტემპერატურა მცირდება 700 C⁰ -დან - 110 C⁰-მდე, რაც უზრუნველყოფს ფილტრის ქსოვილის დაზიანებისაგან დაცვას. ანგარიშის თანახმად, გამწმენდ დანადგარში დაბინძურებული ჰაერი შედის

გამწმენდის ბუნკერზე მოწყობილი მილის საშუალებით, გაივლის ფილტრებს, რის შემდეგაც გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მოწყობის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისთვის სასაწყობო ტერიტორიაზე განთავსდება წყლის სამარაგო რეზერვუარები, რომელიც განკუთვნილი იქნება სამეურნეო დანიშნულების წყლისთვის, ხოლო სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ბუტილირებული სახით. მოწყობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის წლიური ხარჯი იქნება 195 მ³/წელ. ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება 10 მ³ ტევადობის ჰერმეტიული რეზერვუარი, რომლის განტვირთვა მოხდება პერიოდულად, სასენიზაციო მანქანის საშუალებით. წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება 185.25 მ³/წელ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გამოყენება არ მოხდება. საწარმოში წყალი გამოყენებული იქნება სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის (ნარგავების მოსარწყავად, ტერიტორიის დასანამად და ა.შ). წყალმომარაგება განხორციელდება საწარმოს მიმდებარედ არსებული წყალსადენის ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება 650-700 მ³, ხოლო სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის - 765 მ³/წელ. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები (საოფისე შენობიდან და სანიტარული კვანძიდან), ასევე, სანიაღვრე წყლები (საწარმოს ბეტონით დაფარული ღია ტერიტორიიდან). ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება 726.75 მ³/წელ. ჩამდინარე წყლების მართვა გათვალისწინებულია 15-20 მ³ ტევადობის ჰერმეტიული სეპტიკური რეზერვუარის საშუალებით, რომლის განტვირთვა მოხდება პერიოდულად, სასენიზაციო მანქანის საშუალებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ანგარიშის მიხედვით, სანიაღვრე წყლების არინებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 200-250 მ³ ტევადობის ორსექციანი სალექარის მოწყობა. შეწონილი ნაწილაკების დალექვის შემდეგ გაწმენდილი წყალი გამოყენებული იქნება საწარმოს ექსპლუატაციის მიზნებისათვის (ტერიტორიის დასუფთავებისათვის, გზების დასანამად და მწვანე ნარგავების მოსარწყავად).

გზმ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. იდენტიფიცირებულია 7 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყარო, საიდანაც 1 ერთეული წარმოადგენს გაფრქვევის ორგანიზებულ დაბინძურების წყაროს, ხოლო 6 ერთეული არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროს. ასევე, იდენტიფიცირებულია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი და შეწონილი (მყარი) ნაწილაკები. გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებულია ფონური მაჩვენებლები კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე გათვალისწინებულია შპს „პარტნიორი“-ს და შპს „ნიკორა“-ს საწარმოებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, არ აჭარბებს მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს (მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია (აზოტის დიოქსიდი) საკვლევ წერტილამდე შეადგენს 0.09მგ/მ³ ზღვ-ს

წილობრივ მაჩვენებელს). შესაბამისად, გაფრქვევის მიღებული მაჩვენებლები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს ზღვრულად დასაშვებად.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, გაანგარიშებებით და საწარმოსგან მიღებული ფილტრის საპასპორტო მონაცემებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები ფილტრის გამოსასვლელზე ნაკლებია „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N413 დადგენილებით დადგენილ მაჩვენებლებზე, შესაბამისად ონლაინ მონიტორინგს არ საჭიროებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილი მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვის შედეგების მიხედვით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. ჩატარებული გაანგარიშების მიხედვით, მოწყობის ეტაპზე საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხმაურის ჯამური დონე იქნება 91,4 დბა, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებით (560 მ) ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე იქნება 39 დბა. ანგარიშის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის წარმოქმნის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარები და ელექტროძრავები, ასევე ტერიტორიაზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები. გაანგარიშების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე ხმაურის წყაროების ერთდროული მუშაობის შედეგად ხმაურის გავრცელების მაქსიმალურმა დონემ შეიძლება შეადგინოს 86,2 დბა, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებით (560 მ) ხმაურის გავრცელების მაქსიმალური დონე იქნება 34 დბა, რაც არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, ასევე ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებობს მცენარეული საფარი (ხე-მცენარეები და ბუჩქები), რაც კიდევ უფრო შეამცირებს ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ალუმინის ჯართისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულ იქნება კახეთის გზატკეცილი და ქ. თბილისის შემოვლითი საავტომობილო მაგისტრალი. აღნიშნული გზების გადაკვეთაზე არსებული გზაგამტარიდან საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება სოფ. გამარჯვებას საავტომობილო გზა. საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე გამავალი საავტომობილო გზების გამოყენებას ადგილი არ ექნება. სატრანსპორტო ოპერაციებისათვის გამოყენებული იქნება მაღალი ტვირთამწეობის (15-20 ტ) სატრანსპორტო საშუალებები. 15 ტ ტვირთამწეობის ავტომანქანების გამოყენების შემთხვევაში ალუმინის ჯართისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის დღის განმავლობაში განხორციელდება 3 სატრანსპორტო ოპერაცია. სატრანსპორტო ოპერაციები ძირითადად განხორციელდება დღის საათებში.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლის მართვის მიზნით, გამოყენებული იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი. ნარჩენები შეგროვდება სპეციალური მარკირების მქონე ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რომელიც შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. როგორც აღინიშნა, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნა ჯართის გადარჩევის შედეგად (რეზინი, პლასტმასი), ჯართის დნობის შედეგად მოსალოდნელია 272 ტ/წელ შუალედური წიდის (ნარჩენის კოდი: 10 03 04*) წარმოქმნა, ხოლო შუალედური წიდის გადადნობის შემდეგ მიიღება მეორადი გადადნობის წიდა (ნარჩენის კოდი: 10 03 09*), რომლის

მაქსიმალური რაოდენობა იქნება 136 ტ/წელ. ასევე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ასევე მოსალოდნელია ალუმინის მტვერის წარმოქმნა (წელიწადში 6.4 ტონა), აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილია 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება პლასტმასის ან ლითონის კონტეინერში, რის შემდეგაც მოხდება მისი გატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ნარჩენების არასწორ მართვასთან, ასევე, საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევით დაღვრასთან. იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოს ტერიტორია დაფარული იქნება მყარი საფარით მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება - II კატეგორიას (საშუალო სირთულის). ტერიტორიაზე ისეთი არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები როგორცაა მეწყერი, შვავი, კარსტი არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის პროცესში გაყვანილია 5 ჭაბურღილი, თითოეულის სიღრმე 10 მეტრი. გრუნტის პირობებიდან გამომდინარე, გამოიყო ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე) - კენჭნაროვანი გრუნტი, თიხნარის შემავსებლით. უბანზე გრუნტის წყლები არ არის გავრცელებული. პროექტი არ ითვალისწინებს დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების შესრულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, არც მშენებლობის და არც ექსპლუატაციის ფაზებზე საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკი არ არსებობს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. საქმიანობის განხორციელების არეალი არ ექვევება ბიომრავალფეროვნების კუთხით სენსიტიური უბნის ფარგლებში ან მის სიახლოვეს. საწარმოს მიმდებარედ ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, როგორც უკვე აღინიშნა ობიექტის მიმდებარედ ზემოქმედების ზონაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტიპის საწარმოები: შპს „პარტნიორის“ (ს/კ: 81.10.39.245) წებო-ცემენტის საწარმო, შპს „ჩირინას“ (ს/კ: 81.10.27.618 და 81.10.27.964) კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია, შპს „გასგო მოტორსის“ (ს/კ: 81.10.39.738) ავტონაწილების სადისტრიბუციო კომპანია და სს „ნიკორას“ (ს/კ: 81.10.39.674) ნარჩენების ინსინირების საწარმო. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის კუმულაციური ეფექტის დასადგენად გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნა შპს „პარტნიორის“ და სს „ნიკორას“ საწარმოების საქმიანობების პერიოდში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებიც. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით, მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (560 მეტრი) მიმართებაში არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს. როგორც აღინიშნა, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, ასევე ხმაურის წყაროებსა და საანგარიშო წერტილს შორის არსებობს მცენარეული საფარი (ხე-მცენარეები და ბუჩქები). აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. წარმოდგენილი

დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოსთან მისასვლელი გზის მდებარეობის და სატრანსპორტო ოპერაციების რიცხოვნობის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 2 მაისს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის საჯარო სკოლის შენობასა და სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. სოფ. მარტყოფის საჯარო სკოლის შენობასა და სოფ. გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გამართულ საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საკონსულტაციო კომპანია „გამა კონსალტინგის“, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაგეგმილი საქმიანობით დაინტერესებული საზოგადოება. სოფ. მარტყოფში გამართულ საჯარო განხილვაზე საზოგადოების მხრიდან შეკითხვები არ დასმულა, ხოლო სოფ. გამარჯვებაში საჯარო განხილვის დროს, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვა შეეხებოდა ტექნოლოგიური ალტერნატივების, ასევე, წარმოების შედეგად მიღებული ნარჩენების - წიდის დროებითი განთავსების, აგრეთვე, ტერიტორიაზე შემოტანილი ნარჩენების სეპარირების შემდეგ მიღებული ნარჩენების შესახებ საკითხებს. აღნიშნულ საკითხებზე განმარტება გააკეთეს საკონსულტაციო კომპანია „გამა კონსალტინგის“ და შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვის მსვლელობისას გამოთქმული შეკითხვები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი და განხილულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზშ-ის ანგარიშში განხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროს სხვადასხვა მიმართულების შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის მე-6 პუნქტისა და II დანართის 10.3 და 10.5 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში, შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ ნარჩენების აღდგენის (ალუმინის ჯართისგან ალუმინის სხმულების წარმოების) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯია ვალდებულია:

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ასევე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

ბ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან და მონიტორინგის გეგმაში მოცემულ მავნე ნივთიერებების ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხებთან ერთად, ასევე, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, სადნობი ღუმელის (გ-6) გაფრქვევის მიღზე საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (ტექნოლოგიური პროცესის მკაცრი კონტროლით). უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ორჯერ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად). მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;

დ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარება/განხორციელება, სადაც გათვალისწინებული იქნება საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვის შესაბამისი ღონისძიებები;

ე) ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად სადაც, გათვალისწინებული იქნება წილის (ე.წ. შუალედური და მეორადი გადადნობის შედეგად მიღებული) და სხვა მოსალოდნელი ნარჩენების შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებები კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ვ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი მონიტორინგი;

ზ) საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

თ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალუ ქასტინგ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/349-21-4-202507031232>

